

„დროების“ რედაქცია—სიმონსონის ქუჩაზე, ნა-
ხაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ РЕДАК-
ЦІЮ „ДРОБИ“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
მ. 8 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

ბამოდის ყოველ-დღე ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: სურვილის შემთხვევაში გან-
ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებ-
ზე.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს
დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
აგლორს.
Объявления пзъ Россіи, Царства Польскаго и за-
граицы принимаются только въ денг. конторѣ
объявл. А. Мельцъ., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მისს მაღალ-ყოვლად უსამღვ-
დელო ექსარხოსის ჰაველეს მიერ
იქმნება ქსრთხმმა ახლად აღმენე-
ბულის თბილისის დიდუბის ლპთის
მშობლის მალსინისა მომავალს
კვირას, ამა სექტემბრის 23 დღე-
სა.
მღ. ბესარიონ ზედგინიძე.
(3-2)

ხოლმის ბავრცალმის ერთი შემთავრისი მიუხეთაზანი

თბილისი, სექტემბრის 20-ს.
შარშან რომ მევიბეტი ხოლერა გაჩნ-
და, მეცნიერებმა იწინასწარმეტყველეს,
ხოლერა იქ დაიზამთარებს და მერმის კი
მეროპასაც ეწვევაო. სამწუხაროდ, ეს
ბედ-შავი წინასწარმეტყველება მალე
გამართლდა და მკითხველმა იცის,
რომ მეროპის სამხრეთი წრეულის და-
ლაზხედ დაზიანა ამ საზარელმა სენმა.
შნლა სხვა ავენა მეცნიერები კიდევ
უარეს წინასწარმეტყველებას გვიქა-
დიან. იმათის სიტყვით, ხოლერა წრე-
ულს აგრეთვე დაიზამთარებს დაზიანე-
ბულს ქვეყნებში, როგორც შარშან
მევიბეტი დაიზამთარა და მერმის მთელს
მეროპას მოედებოა.

იქნება, ეს წინასწარმეტყველება არ
გამართლდეს, რადგან ხოლერამ რომ
ყოველთვის ასე დაიზამთაროს და მის-
უკან გამოიზამთაროს ხოლმე, — მის
შემუხრავს ძალას ბოლო არ ექნება,
მაგრამ, სამწუხაროდ, შენიშნულია,

რომ უწინდელ ეპიდემიების დროს ეს
სენი რამდენსამე წელიწადს იბუღებ-
და ხოლმე მეროპაში და მხოლოდ
მასუკან ვაქცირებოდა. სჩანს მოსალოდ-
ნელია, რომ მერმის ხოლერა მთელს
მეროპას მოედოს და, რა თქმა უნდა,
თუ ასე მოხდა, ჩვენც უნახავს არ
დაგვტოვებს. მაშ ეხლავე სჯობია
თავდარიგს შევეუდგეთ და ამ დაუბატი-
ქებელი სტუმრის ღირსეულად დახვედ-
რისათვის მოვემზადოთ.

მეცნიერებისაგანაც აღიარებულია
და პრაქტიკითაც დამტკიცებული, რომ
ხოლერა უფრო ეტანება იმისთანა
ადგილებს, რომელნიც უსუფთაობითა
და უწმინდობით განსაკუთრებით
განირჩევიან. ეს უმთავრესი ხელის
შემწყობი გარემოება ხოლერის გავრ-
ცელებისა რომ ყველასაგან ცნობილი
იყოს და მდებალ ხალხს ყველგან
შეეძლოს ფაქიზად ცხოვრება, უეჭვე-
ლია, ხოლერა ერთი ათად დაჰკარგავ-
და თავის ძლიერებას.

წრევანდელმა ეპიდემიამ ეს კემმა-
რიტება განსაკუთრებით თვალნათლივ
დაამტკიცა: მკითხველებმა იციან, რომ
პირველად ხოლერა ტულონში გაჩნდა;
ტულონის სანიტარული მდგომარეო-
ბა, როგორც პარლამენტისაგან და-
ნიშნულმა კომისიამ და განგებ წა-
სულმა დეტუტატებმა დაამტკიცეს, ისე-
თი საშინელია თურმე, რომ ხოლერა
ამ ქალაქში კარგა ხანს უნდა

ემძინებარა და იმძინებარა კიდევ.
მასუკან ეს ქირი გავრცელდა მხო-
ლოდ სამხრეთ-საფრანგეთში, სადაც
ხალხი ბევრად უფრო უსუფთაოდ
სცხოვრობს, ვიდრე ჩრდილოეთში.
ტულონი, მარსელი, მ, აღმოსავლე-
თის პირენეები, — აი ის ნაწილე-
ბი საფრანგეთისა, სადაც ამ ქირმა
ფეხი მოიკიდა.

საფრანგეთის ახლო მდებარე ზოგი-
ერთმა სახელმწიფოებმა ხოლერას წინ
კარანტინები გადულობეს. მანსაკუთრე-
ბული ყურადღება მიაქციეს ამ საშუალე-
ბას იტალიაში და მსპანიაში. იტალიამ
შვეიცარიის სამზღვარზღვაც კი დამარ-
თა კარანტინები, თუმცა შვეიცარიაში
ჯერაც არავინ მომკვდარო ხოლერითა
და შედეგი ის იყო, რომ ბერმანოში,
ინგლისში, ბელგიაში, შვეიცარიაში
კი არ გადავიდა ხოლერა, თუმცა
ეს ქვეყნები საფრანგეთის კარ წინ
არიან, და მსპანიაში და იტალიაში
კი ამოჰყო თავი, რომელთა შორის
პირველი პირენეის მთებით და კორ-
დონებით იყო გაცალკეებული და
მეორეს მთელი სახელმწიფო და სამ-
კეცი კორდონი აცალკეებდა.

სასაცილო ის იყო, თუ კი ამისთა-
ნა უბედურების დროს ადამიანი კი-
დეე სიცილს მოახერხებს, რომ იტა-
ლიის კარანტინი შვეიცარიის სამ-
ზღვარზღვდ იტალიის მთავრობამ მხო-
ლოდ ამ ბოლოს დროს ახსნა, ე. ი.

მანში, როცა ნეაპოლში ხალხი ორას-
სამასობით იხოცებოდა და შვეიცა-
რიაში-კი ერთიც არ გამხდარყო
ავად.

მჩარებით მოუვა, თუ მკითხველი
ამ შენიშვნად იმ დასკვნას შეად-
გენს, ვითომც კარანტინებს არაფერი
მნიშვნელობა არა ჰქონდეთ. დასახე-
ლებული ფაქტები მხოლოდ იმას ამ-
ტკიცებენ, რომ ხოლერა, თუნდა კი-
დეე გაჩნდეს რომელსამე ქვეყანაში,
ღირს ზარალს ვერ მოუტანს ხალხს,
თუ უკანასკნელი მომზადებულია მის
დასახვედრად, თუ სუფთად ცხოვრე-
ბისათვის განსაკუთრებული ყურადღე-
ბა აქვს მიტყეული.

კარანტინს იქნება შეემარებინა
ხოლერა და იტალიაში არ შეეშვა,
მაგრამ, რაკი ერთხელ რომელიმე მო-
ხელის უყურადღებობის გამო, კარან-
ტინი ვასტყვის და გადამდები სენი
კარანტინ შიგნით მოექცა, მანში ამ
სენის გაძლიერება ან შესუსტება და-
მოკიდებულია თითქმის მხოლოდ იმა-
ზღვდ, თუ როგორ სუფთად სცხოვ-
რობს ხალხი, ან როგორ ასრულებს
პირენეის დარჩევას.

ყოველივე ეს მხედველობაში უნდა
გვქანდეს მიღებული, როგორც კერ-
ძო პირებს, ისე იმ დაწესებულებათ,
რომელთაც ხალხის კეთილ-დღეობი-
სათვის ზრუნვა ვალად აწევთ.

«დროების» ქელტონი, სექტ. 20-ს

გლახა თადო (ნამბოზი)

— ახლა მე გლახა თედოს მესახიან,
ბატონო, და ამ თხუთმეტი წლის წი-
ნად-კი კარგი ყოჩალი თედორე გახლ-
დით.

ასე დაიწყო თვისი ამბავი გლახა
თედომ, რომელსაც ამ სამი-ოთხი
წლის წინად ხშირად შეხვედებოდი ქ.
მ...სს, ხიდის ყურთან. ჯერ არ იყო
ოც-და-ხუთმეტის წლისა, მაგრამ თოვ-
ლისებრ თმით ჰქონდა შემოსილი
თავი და სახე. ჩაცვინულ თვალებ.
ში ამოიკითხავდით ღრმა მწუხარებასა
და ტანჯვას, — რაც თავზე გადახედო-
და ამ უღროვოდ მოტყეხილს ვაჟ-კაცს.
ჩემი ყურადღება თავიდანვე მიიზიდა
თედომ: არ შემეძლო გვერდთ ჩამე-
რა მისთვის და ჯიბისაქენ ხელი არ
წამეღო. მართხელ ვიხელთე დრო და
მოვავლოლე მას თვისი თავ-გადასავა-
ლი.

— ღიად, ყოჩალი თედორე გახლ-
დით. მე ვიყავ ერთად ერთი შეილი
ღრმად მოხუცის დედ-მამისა. სიცოც-
ხლე ვიყავ ამ კეთილის ბებრებისათვის

და გულით ვუხდიდი მეც სამაგიეროს.
ჩვენ არა გვაქვდა-რა: გლეხთაგან
პირველნი ვიყავით შეძლებით და დი-
დის თავადის მასპინძლობასაც არ შე-
ეუშინდებოდით. სასიძო ბიჭებში პირ-
ველი ალაგი მეჭირა ჩვენს სოფლად —
ახნაურნი-კი შეპატრიდენ ჩემს სი-
ძობასა. მაგრამ მე უარზე ვიდევი, არ
ეჩქარობდი ცოლის შერთვას... თით-
ქოს ამ ბოლოს მოველოდი... ღიდ
არს განგება შულისა.

საუბედურად, მანამ ვიძახე ვე უარი,
სანამ ჩვენს ოჯახს რისხვა არ მოვე-
ლინა: თითქმის ერთ კვირაში ორთა-
ვემ — მამამ და დედამაც დალიეს სუ-
ლი. საწყლები — რა გულითა ჰსურდათ
ჩემს ბედნიერებას მოსწერებოდენ.

შემამადა ჩემი სახლ-კარობა, ის
არემარე; ავდექ ერთ დილას, ყოვე-
ლივე ქონება ჩავაბარე ერთ ჩვენს ლა-
რბ მემობელს, კარგა ძალი ფული
ვიღვე ხელში, მოვაჯგე ლურჯას და
გავსწიე. მალე დავადეთ სოფელი მე
და ლურჯამ. მართი კიდევ მივიხვედ
უკან... მარტო ჩვენი ეკლესიის ჯვარ-
ილა ჩანდა. ღიდ-ხანს ვუსტირე იმ
ჯვარსა... თვალს ცრემლები მომად-
გა: — გუმინასწინ იქ დავმარხე დედ-
მამა... ჩამოველ ცხენილამ, მოწიწე-
ბით მოვიხადე ქული და შევეუდგე ლო-

ცვას. — რა ვილოცე, მივუბრუნდი
ლურჯას:

— ჩემო ლურჯა, ვუთხარ და მოგ-
ხვიე კისერზე ხელი, დავრჩით მარტო
მე და შენა... მხლა უფრო მჭირიან
შენი ერთგულება... ბასწი, მიგანებებ
სადავეს, საითაც გერჩიოს, იქით წა-
მიყვად და სადაც დადგები, ბედი ჩემი
იქ აღმოჩნდეს. — მოვაჯგე და მივანე-
ბე თავი.

ლურჯამ იგრძნო მიშეგებული სა-
დავე, კმაყოფილებით დაიხვიინა და
გაჰკურცხლა. რა კლდე-ღრე-ტყეები
არ გამარბენინა! ბევრი სოფელიც ჩა-
მოვიტოვეთ და მეორეს დღეს დილით
შველით ახალციხეს. მზაზღვე მიმ-
ხვდარი ვიყავ საითაც ეჭირა თვალი
ჩემს ცხენს: — ლურჯა ახალციხეს მყავ-
და ნაყიდი.

ღიად, ლურჯა მიიჭრა ახალციხეს,
თავის ნაპატრონეფთან, ძირზე თათრი-
სას, და პირობისა-მებრ ბედი ჩემიც
იქ უნდა გამოჩენილიყო. მსეც მოხდა.
ნახევარ წელიწადი გავათე ახალ-
ციხეს; დაედიოდი უსაქმურად; ბევრი
ძმა-ბიჭები შევიძინე და ჩემი მწუხარე-
ბა მალე მხარულებად გადმიცვა-
ლეს.

და უმთავრესი მიზეზი ამ მხარუ-
ლებისა გახლდათ ძირზე ქალი შატმა,

რომლის სინარბარე, სიკველუცე მა-
გიებდა. აქ ის უფრო მიკიდებდა
ცეცხლსა, რომ შატმა მაჰმადიანი
იყო. მაგრამ სიყვარული, ბატონო,
თურმე როდი არჩევს მაგას... ღმერ-
თო, რა რიგ შემოიყვარა! არც შატ-
მა იყო გულ-გრილად, როგორც ვა-
ტყობდი... მაგრამ, მეც არ ვიცი,
საიღამ უნდა მეფიქრნა, რომ შატმას
მშობელნი დაყაბულებულიყვნენ ჩვენს
შეუთლებაზღვდ.

მაგრამ მე გადავწყვიტე ქალის
გატაცება, დავითანხმე შატმაც და
ერთს ბნელს ღამეს ორთავენი მო-
ვეწყვეთ ლურჯაზე. ზეკარის ხე-
ობაზე ამ დროს გზა-ტყეცილი არა
ყოფილა ვაყვანილი. ათასის წერი-
ლის ბილიკებით იყო გადაჭრილი
ბაღდადისა და ახალციხის დიდი
ტყეები. პირველ მამლის ყვილზე და-
ქანცულნი, ჩვენცა და ლურჯაც, შე-
ეჩრდით ერთს დაბურულს ტყეში.
მღევრისა აღარ მეშინოდა. მე ვიყავ
სამოთხეში, ბატონო. აქ იმ, თით-
ქოს დაუბოლოებელს, ტყეში სრულს
ნეტარებასა ვგრძნობდი... გვერდით
მყავდა შატმა — სიცოცხლე ჩემი...
ვლულუნებდით ტკბილად... ვუაღერ-
ებდით ერთმანეთს... და ამ ნეტარე-
ბაში მყოფთ, მცირე ხნის შემდეგ,



შინაშრი ძროხისა

= სექტემბრის 17 დანიწული კრება საქალაქო საბჭოს წევრთა არ შემდგარა, რადგანაც 24 ხმოსანთა მაგიერ, მხოლოდ 18 გამოცხადებულა.

= სექტემბრის 16 დ. ხონში გაუშართავს ბ. შორიძეს კონცერტი სატყველ-მოქმედო აზრით, მაგრამ, როგორც გვწერენ, ძალიან ცოტა ხალხი დაესწროვო.

= იქილამვე გვწერენ, რომ იქაური სემინარიის დირექტორი ბ. ნი სტრეღევსკი უკვე გამოსთხოვებია ხონს და წამოსულა შორს, ახალს ადგილზედ, მარის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის თანამდებობაზედ. იქამის მაგიერ მისულა სკოლოგი, რომელიც სტავროპოლის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი იყო.

= შორაპნილამ გვწერენ, რომ შორაპნის საზოგადოება, რომელიც ათი სოფლიდგან შესდგება, აქამდის უსკოლოდ არის დარჩენილიო. სოფლები: შუთი, იღეში, იგორეთი, მამაჯი, ბორი, სანახბაუ, საღვინე, წიფლა-მაცე, წიფა და შილა, რომელნიც შეადგენენ შორაპნის საზოგადოებას და რომლებშიაც სულ 560 კომლამდე ირიცხება, ძალიან ადვილად შეიძლება 400 მან. შეგროვეს. ახლად წავა და აქამდისაა ბლის დაქირავებას.

= შორილამ გვწერენ: სალამოს ექვს საათზედ, საზოგადო კრების გარდაწყვეტილების თანხმად, მოხდა მეორე კრება, გაგრძელება პირველისა შორის შემნახველ-დამზოგველ ამხანაგობისა.

ჩაგვთვლიმა. არ ვიცი, რამდენს ხანს შეძინა. საშინელს სიზმარში სვიყავ: ვითომ უზარ-მზარნი რამ თავს მაწვა და სულს მიხუთავდა. ძლივს წავართვი ძილს თავი. შანიმე, ნეტავი კი არ გამოძლივობდა; ნეტავი, ძილშივე გავყოლოდი დედ-მამის გუასა. შამომღვივდა და რა ენახე: ხელ-ფეხ გადაგრული მე განზე ვიყავ ნასროლი და შატმას, ჩემს შატმას, გვერდით პლი-ბეგი ჰყავდა!! მხ, ბატონო ჩემო, რა რიგ გამოვიჩნატოთ ახლა მაშინდელი გაკვირვება ჯერ და შემდეგ გაშმაგება და სიბრაზე ჩემი... რა განგება მომგვარა ისეთი ღრმა ძილი!... ის დაწყვეტილები, ჩახვეულინი, ტუბილს ძილს მისცემოდენ... რა მაგრად ვიყავ შებოქილი... მართლა დამრჩენოდა... ჩემი დანთებული ცეცხლი კიდე ლუღად; ფორთხვით და ფორთხილად მიუყვანოვდი მას და თოკით შეკოქილი მაჯები დავადე წუგუხალს... ხელები განვითავისუფლე, მასუკან ფეხებიც... შამხეცებულმა ცვიშიშელე ლეკური, მივვარდი და წამსვე ბინძურს ტანს პლი-ბეგისას განვაშორე თავი. სისხლი მხრიალით მიქსნა შატმას სახეზედ და გონება-გაბნეული ვეწავმოხტა... «მელორქი... პლი!» დაიბვივლა მან. «პლი-ბეგ მოვკალი მე»

ამ კრებაზედ ნამდვილი წევრნი საზოგადოებისა უფრო ბლომად დაესწრნენ. ახლო-მანლო სოფლებილამ მაშინ მოვიდნენ. ძრებამ გარდასწყვიტა:

1) 925 მ. ფული, რომელიც დეპოს მმართველობას უკანონოდ გაცეფულად და სავაჭროთი არა მართო საზოგადოების წევრებზედ, არამედ გარევე პირებზედაც, გადახდეს, წესდების ძალით, თვით მმართველობას, უკეთუ მოვალეთ ეს ფული ამ წლის ნოემბრის 22-მდინ არ შემოიტანონ...

2) პრჩეულ იქმნას ახალი მმართველობა, რომელმაც უნდა ჩაიბაროს შემოთ მოხსენებული ფული, მოუაროს დეპოში დაწყობილს სავაჭროს და, საზოგადოდ, მიიღოს ის უფლებანი და ვალდებულებანი, რომელთაც ათვისებს მას წესდება.

3) ახალი მმართველობის წევრებად კენჭით არჩეულ იქმნენ: სულაკოვი, ს. ლიადე და მ. შიუკოვი.

4) ძრებამ გადასწყვიტა აგრეთვე არჩევა ზედამხედველ კომიტეტისა, (OBSERVATEUR), რომელსაც შეადგენენ შემდგენი წევრნი: თ. ჩევაზ მრისთავი, მ. ლ. ტურთევი, დ. ლათოშვილი, ნ. ლომაური, მათ. ძერესელიძე და თ. ნ. დიასამიძე. ამ უკანასკნელთ შორის კრებამ აღირჩია სამი პირი და მათ მიანდო - სინილისიერად გასინჯვა გამოძიებულ (სარევიზიო) კომისიის მოხსენებისა და მმართველობის წევრისა, დო. თუთავეის პასუხისა; ამათი ერთმანეთთან დაპირდაპირებით შედარება და დასკვნა: რა შეცდომილებაა და რა არის მართალი, საუუძელიანი მათში. მსენი არიან: მღვ. ტურთევი, ნ. ლომაური და დ. ლათოშვილი.

ამ წაირად გათავდა საქმე.

დამშვიდებით ვუბასუხებ... „მხ, შეგიაურო!.. და გულ-წასული დაეყრდნო პლის უძრავ გეამს... შატმა, შენ ვიყავ და პლი-ბეგი?! ძლივს-ღა ვიპერდი თავს. მხო, შეგიაურო, მიყვარდა, მიყვარდა!... და მე, მე რაღად წამომყვე?!... შენ ქმარი იქმნებოდი... და ვეკი საყვარელი?! მაშ წაპყე თან და გიყვარდეს. იმავ წამსვე შა...ტ...მას თა...ვიც მიგორდა პლის თავთან.

ძარგად მიხედებით, როგორ იმოქმედებდა ჩემზე ეს შემთხვევა: გონება შემირყია, ერთიან ამრია. დიდხანს ვიჯექ თავ-ჩაკიდული... ხანდისხან თვალს ვადავებლებდი ჩემს ნამოქმედარს და ათას გვარის გრძობით მივსებოდა გული. მხოლოდ სიბრალეულს და სინანულს არ ჰქონიათ ვლავი ჩემს გულში... მესამედ მოქნულმა ლეკურმა ბოლო მოუღო ჩემს ლურჯასაც. მისთვის მოვკალ ლურჯა, რომ ესეთი ბედი მარგუნა... მაგრამ დრო მიდიოდა და შეიძლე-ბოდა ვინმე წამომდგომოდა თავს... ხან სატყერით და ხან ლეკურით ვავთხარე დიდი ორმო იქვე და სამნიე ჩემნი მოალაატერი დავსაფლავე... ცურთხევის მაგიერად წყევა ჩავაყოლე

დამშვიდებით ვუბასუხებ... მართი დიდი ლოლი მოვაგორე და დავადე სამარეს; ნაშალი მიწა, რამდენადაც შესაძლო იყო, გავუწორე ნიდაგს... ესცდილობდლი საეჭვო რამ კვალი არსად დამრჩენოდა. დიდებულის ბეგის მერანი დავაყენე ახალციხის გზაზედ, მე კი ავდექ და იმ დღილამ ვადავარდი სათათრეთში. თორმეტი წელი დავყავ იქ. ჩემს ჯავრსა და ნადევლს დასასრული არა ჰქონია. ბევრი ღამეები შემხვდა, შატმას მაგონებდენ, ბევრიც სჯობდენ... მაგრამ ჰემმარტ-მორწმუნეს ისე არ შევიმინდება ჯოჯოხეთისა, როგორადაც მე მათი მიკარებისა შემიწოდა... ბოლოს მომბეზრდა უცხო ქვეყანა, უცხო ერი - მომწყურდა ნახვა მამულისა.

მართ დღეს დავადექ გზას, სწორედ იმ გზას, რომლითაც გარდაველ სათათრეთში. ბული იწევდა იქით, სადაც თორმეტი წლის წინად ვავთხარე დიდი საფლავი ჩემის სიცოცხლის და მშხამებელთათვის. მნახე დიდი ლოლი და მთლად საფლავი ეკალს დავეფარა. მალე დავადექ ის დაწყვეტილი ადგილი, მაგრამ მოვა დრო, კიდე მიუზბოუნდები მას. იქილამ გამოვსწიე ჩემს სამოზლოში; მხეცივით ვერიდე ბოლო აღამიანის მხეველრას, რომ

= ამას წინად ჩვენ ესწერდით შესანიშნავი სამთავისის ტაძრის სამწუნარო მდგომარეობაზედ. ამ გარემოებაში მიიქცია ყურადღება საქართველოს ეგზარხოსის პავლესი, დაიბარა იმ ტაძრის მღვდელი და ფულების მოსაგროვებლად წიგნი მისცა. შულის მოგროვებისა კი რა მოგახსენოთ და ეს დიდებული ქმნილება არხიტექტურისა თანდათან უკან მიდის: წიგნის წყალი ევანაგეს სამხრეთის თაღს, გაჯით ნალესობა სულ ჩამოვიდა და ახლა თვით თაღზეა ქერი მიმდგარი. საქვირველია ჰემმარტად: უწინ საყდარი მოხატული იყო, მოხატულნი იყენენ გარემოთი ციხე-კოშტები და სამრეკლო, ხატი და ჯვარი ტაძრისა ვათქმულნი იყენენ საქართველოში, მთა და ბარი ათას დღიურობით ითვლებოდა, და დღეს, ოდესმე მდიდარს ტაძარს, შეიძლება აღარა აქვს, რომ სახურავი გაუაზრონ?

= ამზობენ, რომ სოფ. შანათის სკოლა, რომელიც აქამომდე ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა უწყებაში იყო და რომელსაც ეს უკანასკნელი თავის ხარჯით ინახავდა, ახლა იკეტებოა; სოფელს ეუბნებოან, რომ სკოლის შესანახავად საშუალება აღარ არის და თითონ თქვენ იტვირთეთ ეს სასყიდელიო.

= სექტემბრის 16 პულაბრის ერთს ვიწრო ქუჩაში ავაზაკები დასცემიან ვილაც ბიორგი შერველოვს, წაურთმევიათ ვერცხლის ქამარი და 12 მან. და 40 კაპ. ამას გარდა ორგან დაუჭრიათ შერველოვი. პოლიციელი მიშველე-ბია, მაგრამ ისიც დაუჭრიათ კისერში გამბედავ ავაზაკებს. (გაზ. „ნოვ. ობოზრ“.)

სამთავეს საფლავში... მართი დიდი ლოლი მოვაგორე და დავადე სამარეს; ნაშალი მიწა, რამდენადაც შესაძლო იყო, გავუწორე ნიდაგს... ესცდილობდლი საეჭვო რამ კვალი არსად დამრჩენოდა. დიდებულის ბეგის მერანი დავაყენე ახალციხის გზაზედ, მე კი ავდექ და იმ დღილამ ვადავარდი სათათრეთში. თორმეტი წელი დავყავ იქ. ჩემს ჯავრსა და ნადევლს დასასრული არა ჰქონია. ბევრი ღამეები შემხვდა, შატმას მაგონებდენ, ბევრიც სჯობდენ... მაგრამ ჰემმარტ-მორწმუნეს ისე არ შევიმინდება ჯოჯოხეთისა, როგორადაც მე მათი მიკარებისა შემიწოდა... ბოლოს მომბეზრდა უცხო ქვეყანა, უცხო ერი - მომწყურდა ნახვა მამულისა.

მართ დღეს დავადექ გზას, სწორედ იმ გზას, რომლითაც გარდაველ სათათრეთში. ბული იწევდა იქით, სადაც თორმეტი წლის წინად ვავთხარე დიდი საფლავი ჩემის სიცოცხლის და მშხამებელთათვის. მნახე დიდი ლოლი და მთლად საფლავი ეკალს დავეფარა. მალე დავადექ ის დაწყვეტილი ადგილი, მაგრამ მოვა დრო, კიდე მიუზბოუნდები მას. იქილამ გამოვსწიე ჩემს სამოზლოში; მხეცივით ვერიდე ბოლო აღამიანის მხეველრას, რომ

= ბაქოს გაზფეხებს... ბაქოლამ აგვისტოს განმავლობაში ზღვითა და რკინის გზით გაუტანიათ ნავთი და სხვა-და-სხვა გვარი სანავთო მასალა 7.245,892 ფ., შარშანდელზე 2 მილიონი ფუთით მეტი.

= მაზ. „სავაზში“ დაბეჭდილია შარშანდელი სასწავლო წლის ანგარიში რეალურის სასწავლებლის მდგომარეობაზე. სხვათა შორის მოყვანილია ცნობა შეგირდების რაოდენობასა და გვარტომობაზე: სულ შარშან შეგირდების რიცხვი ყოფილა, რუსები 108=35%, ქართველები 35=11%, სომხები 140=44%, თათრები 5=2%, სხვა-და-სხვა გვარტომობისანი 30=10%.

სწორედ რომ სამქვერმეტყველო ციფირები არიან და განმარტება აღარ ეკირვებათ.

= ბათუმილამ სწერენ გაზ. „სავაზს“, რომ იქ კარანტინია გამართული გემებისათვის, რადგან საშიშია, რომ ხოლერა არ იქმნას ვადმოტანილი მარსელიდამაო. მაგრამ კარანტინი მხოლოდ „Paquet“-ს საზოგადოების გემებისთვის არის, რადგან ესენი დადიან მარსელისა და ბათუმის შუა. მეორე საზოგადოების („Des Messageries“) გემები კი თავისუფლად შემოდინან ბათუმის ნავთსადგურში. მართალია, ეს გემები მარსელილამ არ მოდიან, მაგრამ მოსამსახურენი სულ მარსელელები არიან ამ გემებზედაო.

მს სავანი, ჩვენის აზრით, სწორედ რომ ყურადღების ღირსია.

არავის ვეცნე. ან-კი რა მაშინებდა: ოც-და-თორმეტი წლის ვაჟ-კაცი ცხოვრებამ ისე გამტეხა, რომ ღრმა მოხუცს ვგვანდი. მინ მიცნობდა თედორეს.

მნახე დედ-მამის საფლავიცა - მღუღარე ცრემლით მოვრწყე, და დაყოვნებით-კი ვერც იქ დავუყვი დიდხანსა. მართი თვალი ჩემს მამულსაც გარდავაეღე...

დაცხლა აქა ვარ - ვგლახაობ. შემედლო განა არა, ჩემი მამეული დამებრუნა, კეთილად, უღარდელად მეცხოვრა... მაგრამ რა პირით ვამოიწინდე ბოლი ჩვენს სოფლად... დიდი, დიდი ცოდვა მაწევს კისერს... მაგრამ მოვადრო-მეთქი, კიდე მიუზბოუნდები მას - ჩემ მიერ გათხრილს საფლავს... მე არ ვარ ღირსი, დავიმაზნო იქ, სადაც ჩემი დედ-მამა, მართალინი განისვენებენ... დაჰკრავს ქამი სიკვილიისა და იმ დიდს საფლავთან ჩემთინაც დავიმხადებ სამარეს... ბოროტად წავიდა ჩემი ცხოვრება და ბოროტთათანა განვისვენებ... დიდ არს ძალი შანგებისა!..

დ. სოფელკი. სოფ. რაონი. 1884 წელს, მარამბისთაჲსი.



ს ა ბ ა ხ ა ს ო

ახირებული ბავშვიანება

(პასუხად ბატ. ლულაძეს)

ბატ. ლულაძე, რედაქტორი და გამომცემელი „ნობათის“, გაუზუიანებულა და ძალიან გაგვიყრომაია. ამდენს წყრომას, სწორედ მოგახსენოთ, კაი გაძლება უნდა; მაგრამ იქნება როგორც ცოცხალი გადაჭრით, თუ უფალმა სრულიად ხელი არ აიღო ჩვენზედ. გვიწყრება ბატ. ლულაძე; მაგრამ რად, რისთვის? ეს არც ჩვენ გვესმის და არც, ვგონებთ, სხვებსა. ჩვენ ვუთხარით ბატ. ლულაძეს: თქვენ და თქვენს ნობათს გამარჯობა და დღეგრძელობა უფალმა ნუ მოგაკლოსთქო. ძარგი დალოცვა, განა? მაგრამ პასუხად რას გვეუბნება? თქვენ ასეთები ხართ და ისეთებიო. უცნაური, გასაშტერებელი პასუხი რომ გაგიგონათ, სწორედ ეს არის. ეს იმასა ჰგავს, ცხვირის დაცმინებაზედ ვისმეს ლეთის წყალობა უთხრა და იმან ლეთის რისხვით გიპასუხოს.

ჩუმიად ვიკავით, ძლიერ გვებუტებოდა, გვიწყრებოდა, რატომ არასფერს ამბობთო, კეთილი ვსთქვით და უფრო უარესად გაგვიბუტა, გაგვიუხუიანდა, გაგვიწყრა. როგორ ვაიმოთ, არ ვიცით. ზოგნი გვიჩვენებენ ერთი ორიოდღე მწარე კემბარტება სთქვით მასზედ და ფიცხლავ დაზავდებოა. მაგრამ ამისთანა აფეია ადამიანების სიტყვას რომ აფევეთ, ერთა, შორს წავა საქმე.

ბატ. ლულაძე თავისი უცნაური საქციელით მოგვაგონებს ერთს გულდიდა სოვეტნიკსა, რომელიც მაშინაცა სწყრებოდა, როცა ნაცნობნი სადილად ჰპატიჟებდნენ, როგორ გამიბედდესო, და მაშინაც, როცა არ იწვევდნენ, როგორ დამივიწყესო.

შველაზედ უსაკვირველესი ის არის, რომ ბატ. ლულაძე გვიწყრება იმაზედ, რაც მის გულითადს სურვილს შეადგენდა. წარსული ზაფხულის დამდეგს მან გვეითხა ჩვენ: მეორე ნომერი ტუნწულისა როდის გამოვაო. ჩვენ ვუბასუხეთ: როდესაც „ნობათს“ საქმაო ხელის მომწერი გაუჩნდება მეთქი. ნობათის არსებობისათვის საქირაო ხუთასი ხელის მომწერი, ანუ ორასი თუმანი ფული წელიწადშიო, განგვიმარტა მან. „მაგოდენი ხელის მომწერს საბავშო ჟურნალი, თუ იგი მარჯვედ იწარმოებს, მეორე წლის განმავლობაშივე უთუოდ შეიძენს, რადგანაც მოთხოვნილება დიდია საზოგადოებაში, — და ამ ხნით შეჩერება ჩვენი გამოცემისა შესაძლებელია,“ ვუბასუხეთ ჩვენ. ჩვენს მოსაუბრეს ძლიერ იამა ეს და გვითხრა: — გსიტყვები, ჩვენს შორის კერძოდ ნათქვამი, რომ „დრაგმაში“ იქმნას გამოცხადებული, მეტად კარგი და სასარგებლო იქმნებო. მაშინვე ცალკე გამოცხადება ამ სიტყვებისა მოუხერხებელი იყო; გვესურდა კი აგვესრულებინა ბ. ლულაძის სურვილი. ამი-

ტომ ჩვენ ვისარგებლეთ პირველივე შემთხვევით და გამოვაშკარეთ ჩვენი გადაწყვეტილება. ეს გამოცხადება, როგორც ეტყობოდა, იამა პირველს ხანებში; მაგრამ ორი კვირის განმავლობაში გულზედ სხვა კიამ გადაუარა, გაგვიუხუიანდა და გაგვიწყრა. რა მოხდა, ვინ და რამ შეუცვალა გუენება? ბატ. ლულაძეს სურვილი გაუდიდა, მადა ორკევი შეექმნა, რითაც წინ კმაყოფილი იყო, ახლა აღარა კმარობს. უწინ „ტუნწულის“ მხოლოდ შეჩერებას ნატრულობდა, ახლა სრულს გაუქმებას ითხოვს ამიერ და უკუენსამდე: „თუ ნობათი სასარგებლო გამოცემაო, რადა საქირაო თქვენ მიერ განძრახულის და შეჩერებულინს ჟურნალის გამოცემა მის შემდეგ, როცა „ნობათი“ ხუთასს წლიურს ხელის-მომწერს შეიძენსო? „ამ კითხვით ბატ. ლულაძე ერთი მხრით თავის სურვილს აშკარად ხდის, მეორე მხრით იჩენს მტკნარს უმეცრებასა. მკ კითხვა რომ სხვას ვისმე მოეცა, მიეტყვებოდა; მაგრამ პედაგოგიური ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლისათვის სიტყვილია არ იცოდეს, რომ საბავშო ჟურნალი ერთია, და საყმაწვილო მეორე, რომ ხშირად არამც თუ სხვა-და-სხვა პირნი, არამედ ერთი და იგივე რედაქცია ბეჭდავს ორს ჟურნალსა — ერთს პატარა ბავშვებისათვის და მეორეს მოზრდილი ყმაწვილებისათვის. შეიძლება რადენსამე ხანს ერთმა და იმავე ჟურნალმა ასრულოს ორივე ჟურნალის დანიშნულება, თუ იმას ეყოლება მარჯვე და განვითარებული რედაქტორი: მაგრამ მხოლოდ დრაგმაო. როდესაც მკითხველი მოზარდი თაობა იბარტყებს და საბავშო მწერლებიც ბლომად გამოვლენ ასპარეზზედ, მაშინ ამ გვარი ორკევი გამოცემა უნდა გადიქცეს ორს განსაკუთრებულ ჟურნალად. შოველს შემთხვევაში ჩვენ აქაც ნებას დავეცებით ბატ. ლულაძეს, „გუნწულის“ ხსენებასაც კი დავივიწყებთ ჯერჯერობით, და რითაც კი შეგვეძლება შევეწვევით, — მხოლოდ სამი პირობის ასრულებას მოვითხოვთ: ნობათი უნდა გადაიქცეს იმისთანა ჟურნალად, რომელსაც შეეძლოს დაკმაყოფილება ბავშვებისაც და ყმაწვილებისაც და არ მოჰყვებოდეს ორს სკამს შუა; მან სრულიად უნდა აიშოროს თავიდან ღვარძლი და მხოლოდ წმინდა პურს იპყრობდეს რედაქტორს ჯერ-ჯერობით სრულიად უნდა აეკრძალოს წერა, სახელდობ იქამდის, ვიდრე გადამეტებული სწავლულობა არ შეეუცირდება და ქართული ენა, ლათინურისაგან ქვეშ მოქცეული, ზევით არ მოექცევა. თუ ეს ასე არ მოხდება, ჩვენი წიგნების გამოცემელი მზად არის გადასდოს საქმარისი ფული, არამც თუ ჟურნალის გამოცემისათვის, არამედ თანამშრომლების ჯაფის დასაჯილდოებლადაც. იმის აზრით, რომელსაც ჩვენ სრულიად ვეთანხმებით, რიგანი საბავშო ჟურნალი პირველსავე წელს მოიპოვებს საქმარისს ხელის მომწერსა და რაოდენიმე წლის

განმავლობაში შეიქმნება არსებით მოთხოვნილებად ყოველივე სახლობისათვის, რომელშიაც კი წერა-კითხვის მცოდნე პირი მოიპოვება. ბატ. ლულაძემ ჩვენში ახალი ტალანტი აღმოაჩინა. ჩვენ გვეგონა, რომ სრულიად მოკლებულნი ვართ ნიქსა ბამბა ვახხრიალოთ და პუბლიკას ყოველს ნიბიჯზედ თვალში ვეჩხროთ. თუმცე ნუ იტყვიოთ, ძლიერ შემცდარნი ვყოფილვართ. ესე მისი (ესე იგი ჩვენი) წერილი არ დაიბეჭდება, რის შესახებ და ვის პასუხადაც არ(?) გინდა იყოს, ბძანებს ბატ. ლულაძე, რომ ეს აზრი არ იყოს გატარებული: ჩვენ ეს გავიკეთებია, ჩვენ ამას ვაკეთებთ, ჩვენ განძრახვა გვაქვს ესა და ეს გავაკეთოთ. ჯერ კაცმა ტყუილი არ უნდა იკადროს და თუ ეშმაკმა აცდინა, პატარა გრძელი ფეხები მიიწუნდა გამაბას, რომ იმ წამშივე სიტყუში არ დაიჭირონ. ჯერ ერთი ესა, განა დედნის, გუნწულის და აბითექტიკის ხსენებას დატრახანების აზრი ჰქონდა? ჩვენ გამოგვიწყვის წარმოგვეთქვა ჩვენი აზრი კონკურენტის შესახებ გამოცემლობაში და რომ ჩვენი სიტყვები ლიტონად არ დარჩენილიყვენენ, იძულებულნი ვიყავით დავგესახელებინა სამი ჩვენი ნაშრომი. თუ არა, კაცმა დაიტრახანოს და ისიც იმ გვარი შრომით, სადაც ბევრით ნაკლებად არის საქირაო გონების ძალა და განვითარება? მეორედ: ჩვენ უკანასკელი წლის განმავლობაში, როგორც წინადაც, ბევრი არა დავიწყებია-რა; მაგრამ ოციოდღე წერილი მიიწუნდა დავბეჭდეთ პერიოდიულს გამოცემებში. ჩვენ რომ მოეთხოვოთ ბატ. ლულაძეს დაგვისახელოს ამ წერილებში ისინი, რომლებშიაც ჩვენს თავზედ და ჩვენს ნაწარმოებზედ და განძრახვებზედ იყოს ნათქვამი კენტი სიტყვა მიიწუნდა, ხომ ხმა უნდა ჩაჩუმოს და პატარა ცრუ სკოლნიკსავით გაწითლებული დარჩეს? ხომ ესეთი სათაკილო ხიფათივე უნდა დავმართოს წინა წლების შესახებაც, რადგანაც მხოლოდ ორიოდღე შემთხვევაში მოწინააღმდეგედ იძულებული გავგვადეს ჩამოგვევლო სიტყვა ჩვენს ნაწარმოებზედ. რა ძალა ადგა, როცა ამ გვარს სათაკილო მდგომარეობას იმხადებდა ჩვენი მობასე? მართალია ზოგიერთა ჩვენი დაპირება, გამოთქმული წიგნების წინა სიტყვაობაში, ვერ შევასრულეთ აქამდის, მაგრამ ეს დანაშაულობა ძალიან ხშირია არამც თუ ჩვენში, ჩვენზედ ბევრით დაწინაურებულს ქვეყნებშიაც. მაგალითად: ბატ. მიროპოლსკი, აწინდელი გამოჩენილი პედაგოგი რუსეთისა, ათი წლის წინად დაპირდა რუსის საზოგადოებას კალიგრაფიის ქრისტომატიას გამოავცემო, შემდეგშიაც არა ერთხელ გაიმეორა ეს აღთქმა; მაგრამ აქამდის ვერ აღასრულა. მიუხედევლად ამისა, აზრადაც არავის მოსვლია საყვედური გამოცხადებინა მისთვის. თუ ამისთანა მძლავრნი

პირნი ვერ ასრულებენ თავიანთ დაპირებასა, რა საკვირველი და გასაკიცხი უნდა იყოს, როდესაც ჩვენ უკანა ვრჩებით ზოგიერთა ჩვენს სურვილსა და განზრახვას. მაღს გადახდა ამშვენებსო, ამბობს რუსის ანდაზა. ამ ანდაზის მიხედვით ჩვენ ვესურს სარკეში ჩავახედოთ თვით ბატ. ლულაძე: იგი მასწავლებლად არის სახელოანო სკოლაში; ეს არის ერთად ერთი სასწავლებელი, სადაც ყველა საგნები ქართლს ენაზედ ისწავლებიან. ძართული სახელმძღვანელონი აქ მიუცილებელს საქირიობას შეადგენენ, უამათოდ სასურველი წარმატება შეუძლებელია. ბატ. ლულაძემ იგრძნო ეს და, როგორც გვახსოვს, „დროებაშიც“ თანახმად მისი სურვილისა, აუწყა საზოგადოებას, რომ სახელოანო სკოლის მასწავლებელი ბ. ლულაძე ადგენს სახელმძღვანელოებსაო. სად არიან ეს საქირი სახელმძღვანელოები? რატომ არ ასრულდა დაპირება? განზრახვის გამოაშკარებამ რად უსწრო რაოდენიმე წლით საქმის არსებობაში მოყვანას? მოგვესწრებით როდისმე აღთქმის ასრულებას, თუ მას ჩაილულის წყალი უნდა დავაღვიწიოთ? ეს ერთი. ბატონი ლულაძე ისე ვერ დასწერს ვერც წერილს და ვერც ბარათს, რომ ქვეშ არ მოაწეროს თავისი სახელისა და გვარის შემდეგ ვეებერთელა ასოები: რედაქტორი და გამომცემელი „ნობათის“. უკანასკნელი მისი წერილიც „დროებაში“ თავდება ამ დიდებულ ტიტულით. რას მოასწავებს ეს: თავმდაბლობას, თუ იმ ნიქსა, რომელიც ბამბას ახხრიალებს? ეს ორი. მესამედ ვთხოვთ ბატ. ლულაძეს გულზედ ხელი დაიდოს და პირდაპირ, წრფელად გვითხრას: რადენი თვით უსწრო „ნობათის“ გამოსვლას მისმა სავიზიტო კარტოჩკებმა, რომლებზედაც იგი გამოქმეული იყო რედაქტორ-გამომცემლად? ჩვენს მობასეს გაუკონია ქართული ანდაზა: ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალო, — მაგრამ ის კი აღარ მიუღია სახეში, რომ არამც თუ გულის მოკვლას, არამედ გაკაწვრასაც კი განძრახვის გარდა სხვა რამეც ეჭირება. ბატ. ლულაძე უიშობს: როდესაც თქვენ ან სრულიად, ან ნახევრობით შეადგენთ ყველა საგნების სახელმძღვანელოებს, უთუოდ ასტროლოგიას მიჰყოფთ ხელსაო. ჩვენი მობასის ხათრის გულისათვის ამაზედ ბევრით უარესს საქმეს ჩავიდნეთ: დავსწერათ იმისთანა ახირებულს წერილს ალზაზედ, გავავსებთ მას იმისთანა საკვირველი ლათინური ციტატებით (თუმცა არც ჩვენ ვიცით ლათინური და არც ჩვენმა მკითხველებმა), რომ არამც თუ საქართველოში ვერავინ გაიგოს იგი, არამედ ჩინეთშიაც კითხვით ნიშნად გადიქცეს თვით მსწავლულთაგან მსწავლული, მამაცთაგან მამაცი დიდგულა სარდალი ცო.

ი აკ ა ბ გ მ გ ბ ა შ ვ ი დ ი .



ცელეკრები

(„ხრდილოეთის სააგენტო“) **სექტემბრის 18-ს**

მოსკოვი. „მოსკოვის უწყებანი იწერებიან, რომ წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტის რექტორი არამცთუ არ უკრძალავდა სტუდენტებს უნივერსიტეტის დღესასწაულზე დასწრებას, არამედ სცდილობდა მოემხრო იგინი, რომ მონაწილობა მიეღოთ დღესასწაულობაში, მაგრამ მათ იწყეს მდებარება, რომელიც, უეჭველია, მათი წრიდგან არ წარმომდგარა პირველად, და ამ სახით შეუძლებელია განადგურების მონაწილობის მიღება დღესასწაულობაში; განუსაზღვრელად ყველა სტუდენტებს ეძლეოდათ ბილეთები აქტზე დასასწრობლად, მაგრამ მოთავთ, რომელთაც ახალგაზდობა ხელთ იპურეს, გამოაცხადეს პროკლამაციით, რომ ბილეთები ნამდვილი არ არიან და უწერდენ სტუდენტებს არ მიეღოთ მონაწილობა დღეობაში.

სექტემბრის 19-ს.

ბიან-ძინი. კანტონის ვიცე-ხელმწიფეს ებძანა რათა გამოსცეს მანიჭესტი, რომელიც ამხნეობდეს ხალხს ქრანცუვის ჯარებთან სამხრად, მაგრამ უკრძალავდეს სურსათის მოწამლვას და ერთმანერთის წაქეზებას ვეროპიელების წინააღმდეგ.

პარიჟი. აქ ლაზარაკობენ ვითომც კურბეს ესკადრა დღეს დაძრულიყოს თავის ალაგადამა და, არავინ იცის, საითკენ წასულიყოს.

ცნობანი

გაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდახელ 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე 1884 წ.

გამომცვარი პური რუსეთის ფქვილისა	— 1 გორ. 5 გ.
აქურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა	— 1 გ. 2 1/2
მეორისა	— 1 გ. 2 გ.
მესამისა	— 1 გ. 2 1/2
მეოთხისა	— 1 გ. 2 1/2
მეხუთხისა	— 1 გ. 2 1/2
მეექვსისა	— 1 გ. 2 1/2
მეშვიდისა	— 1 გ. 2 1/2
მეათისა	— 1 გ. 2 1/2
მეორისა	— 1 გ. 2 1/2
მესამისა	— 1 გ. 2 1/2
მეოთხისა	— 1 გ. 2 1/2
მეხუთხისა	— 1 გ. 2 1/2
მეექვსისა	— 1 გ. 2 1/2
მეშვიდისა	— 1 გ. 2 1/2
მეათისა	— 1 გ. 2 1/2

სუკი	— 1 გ. 14 გ.
ცხვრის ხორცი	— 1 გ. 7 გ.
დორის ხორცი:	
პირველის ხარისხისა	— 1 გ. — გ.
მეორისა	— 1 გ. — გ.

რკინის ზუა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით თბილისიდან მარტო საშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან. თბილისიდან ბაქოსკენ

10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. და მ.)

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათზედ და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ

5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის

10 საათზედ და 25 წამ. ღამით. მარტო საშურამდინ მომავალი თბილისში შემოდის

8 საათზედ დილით

ბაქოდან მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (შაბასკეობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

მართს ქალსა სურს **ასწავლოს** ბავშვებს ოჯახში და **შაჰროს ტანთ-საცმელი**. თანხმა თბილისის გარედ გასვლაზედაც.

აღრესი დასტოვეთ „**დროების**“, რედაქციაში. (5-1)

თბილისის ახლად გახსნილის სამკლასიანის საშალაჰო სასწავლო-ლის მმართველი

ამით აცხადებენ საყოველთაოდ, რომ თხოვნების მიცემა და ყმაწვილების ეგზამენები ხსენებულს სასწავლებელში მიღებაზედ გაგრძელდება ოქტომბრის სექტემბრამდე ამა 1884 წლისა. თხოვნების შემოტანა და ბავშვებისაგან ეგზამენების დაჭერა შეიძლება ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის რვა საათიდან ვიდრე თორმეტ საათამდე. სწავლა დაიწყება ორს ოქტომბრიდან.

სასწავლებლის სადგომი იმყოფება ავლაბარში, როზოვის ქუჩაზედ, მარტივლოვის სახლებში, № 15, პურის საწყობის მაღაზიის (продовольственный магазинъ) ახლო. (3-2)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 შ. 10 გ.	1 შ. 40 გ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50

საუკეთესო 2—, — 3—, —
იქვე ისევედება სხვა საქონელიც: თაფლები, რეკლამები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები,

გოგონები, ტაშტები, კანკალები, შოკოლადი, კაკაო, კანკალები, მუხრანები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ უკვლავად 25-და 50 შრატონით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსავე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწვებს, გასაგზავნის ანაფურს არ იხდის. (100-64)

არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქერაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტონებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტუობა შეიძლება ქარვასლის კანტონრაში. (25-11)

ბიზნეს-ბრძანება

დედანი ქართული წიგნის, სურათების, შედგენილი იაკობ ბოგეზბეგისაგან, დაბეჭდა და ისევედება გამომცემლის შაქარია ბრიჭუროვის მაღაზიაში. ფასი ექვსი შაური; ვინც ნაღს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცი ცოლისა, ჯდანი დაფიშობა ხუთ შაურად. პგრეთვე ისევედება იქვე და სარქისოვის მაღაზიაში ლიტოგრაფიაში და ბეჭდვითი **დახაზული მაღალი**, თაბახი კაბიკ-ნახეზარად. რეკლამები მზადდება და ელირება: ორ-თაბახიანი ოთხ კაბიკად და ოთხ-თაბახიანი რედ.

ამონ საყმაწვილო მოთხრობებისა ბუნების მუცნიერებების, მეორე შეესტული გამოცემა, სურათებით, ისევედება იქვე, ფასი ათი შაური, ვინც ნაღს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცი ცოლისა, ვინც დედანი თმობა 42 კაბიკად. (10-3)

დაიგაზდა და იხვიდება, თბილისის, ქუთაისის, გორის და თელავის წიგნის ალაზიგაში

სამხრეთელოს

მეკლე ისტორია

მოსე ჯანაშვილისა.

ფასი 60 კოპ.

მინც პირ-და-პირ გამომცემლისგან (Тифлисъ Михайлов. ул. № 42 Георгию Давидовичу Картвелову) დაიბარებს არა ნაკლებ 20 ეკპ., იმას წიგნი დაეთმობა 50 კაბიკად. (10-4)

Pour paraitre le 1-er Janvier 1885

Nouvelle Edition

L'ART AU CAUCASE

par

J. MOURIER

«L'art au Caucase» formera un bel album de 130 pages de texte, accompagnées de 200 planches environ (gravures sur bois, lithographies, phototypie, chromolithographies, etc. etc.), tirées sur beau papier anglais.

Cet ouvrage, édité à Paris, par les soins de la Librairie de l'Art, sera le recueil le plus complet et en même temps l'étude la plus exacte qui ait été faite jusqu'à ce jour sur l'Art Géorgien et Arménien.

Comme pour toutes les éditions de luxe, le tirage de cet ouvrage étant limité, on souscrit, à Tiflis, à l'Administration du journal „Le Caucase.“ Prix 25 Roubles. (3-2)